

## ევრაზიის აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქალაქების განახლების მნიშვნელობა

2013 წლის 11 მარტი

- ეკონომიკური გარემოებების ცვლილებასთან და ვაჭრობის ევროპისა და აზიისკენ რეორიენტირებასთან ერთად მნიშვნელოვანია ევრაზიის „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ მდებარე ქალაქების განვითარების გზების ხელახალი გააზრება
- პოლიტიკის გამტარებლებმა შემდეგ ხუთ ძირითად მიმართულებაზე უნდა იმუშაონ: ქალაქების განვითარების გზების ხელახალი გააზრება, ქალაქების დაგეგმარება, მათი ერთმანეთთან დაკავშირება, გამწვანება და დაფინანსება

2013 წლის 11 მარტი - „აბრეშუმის გზა“ - თუ თქვენ ეს ფრაზა ხასხასა ფერებს, მდიდრულ ქსოვილებს, მტვრიან და ხალხით გადავსებულ ბაზრებს, ეგზოტიკური სანელებლების თავბრუდამხვევ სურნელს და შორეულ ქალაქებში მოგზაურობის და თავგადასავლების ოცნებას გახსენებთ, მაშინ თქვენ მარტონი არ ხართ.

საუკუნეების განმავლობაში აბრეშუმის გზა შორეულ აღმოსავლეთს, ახლო აღმოსავლეთს და ევროპას ერთმანეთთან ფართო სახმელეთო და საზღვაო მარშრუტებით აკავშირებდა. ქალაქები მნიშვნელოვან ადგილებზე შენდებოდა, რაც ვაჭრებს მოგზაურობაში და სხვადასხვა საქონლით (ქსოვილებით და ძვირფასი ქვებით დაწყებული და სუნამოებით და წამლებით დამთავრებული) ვაჭრობაში ეხმარებოდა. ევროპაში და განსაკუთრებით აზიაში ქალაქები აბრეშუმის გზის ფარგლებში ვითარდებოდნენ და ისინი კონტინენტებს შორის ვაჭრობას უწყობდნენ ხელს. მოგვიანებით ქალაქები უკვე საბჭოთა დაგეგმარების პროდუქტებად იქცნენ, რადგან ამ დაგეგმარების ფარგლებში ქალაქის ადგილმდებარეობა ეფუძნებოდა სატრანსპორტო საჭიროებებს, რეგიონებს შორის თანასწორობის უზრუნველყოფის მიზანს, თავდაცვის შესაძლებლობებს და ზოგიერთ შემთხვევაში ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაციის საჭიროებას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამავე დროს ისეთი მსხვილი რეგიონალური გაერთიანებების და ქვეყნების გაძლიერებამ, როგორებიცაა ევროკავშირი, ჩინეთი და ინდოეთი და ასევე ბაზრის, როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალის დაბრუნებამ, აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქალაქების განვითარების გზების ხელახლა გააზრების საჭიროება წარმოშვა - აღნიშნული დასკვნა მოცემულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის ანგარიშში „ევრაზიული ქალაქები - ახალი რეალობა აბრეშუმის გზის გასწვრივ“.

ანგარიშის მიხედვით, აბრეშუმის გზის განახლებისთვის საჭირო ხუთ ძირითად ელემენტს ქალაქების განვითარების გზების ხელახლა გააზრება, მათი დაგეგმარება, ერთმანეთთან დაკავშირება, გამწვანება და დაფინანსება წარმოადგენს.

### **ქალაქების განვითარების ხელახალი გააზრება**

ავიღოთ მაგალითად უკრაინაში მდებარე ქალაქი კრამატორსკი.

1989 წლიდან 2010 წლამდე ამ ქალაქის მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა და 167,850 ადამიანი შეადგინა. ამ ქალაქში მთავარი დამსაქმებელი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა იყო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა 40,000-იდან 14,000-მდე შემცირდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ამ ქალაქმა ამ დანაკარგის კომპენსირების საშუალება გამოიხატა. მოხდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ქალაქმა ისარგებლა მისი სიახლოვით რეგიონის დედაქალაქთან და რუსეთის საზღვართან, რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქში წარმოებული პროდუქციის 40 პროცენტის ევროკავშირსა და ბრაზილიაში ექსპორტი. გარდა ამისა ქალაქმა მანქანათმშენებლობის ქარხანაში შემცირებული სამუშაო ადგილების ძვირფასი ქვების მზარდი ინდუსტრიით კომპენსირება მოახდინა.

კრამატორსკის მაგალითი აჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი ქალაქების ქსელი არ შეესაბამება რეგიონის არსებულ და ახალ ეკონომიკურ საჭიროებებს, რომლებიც ერთის მხრივ ევროპის გარემემო და მეორეს მხრივ აზიის გარემემოა კონცენტრირებული. ამ საბაზრო ძალების გამოყენება აუცილებელია ქალაქების განვითარების გზების ხელახლა გააზრებისთვის.

### **დაგეგმარება თავის როლს თამაშობს**

ქალაქის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგია მასში არსებული ცხოვრების პირობები და როგორია ამ ქალაქში არსებული ცხოვრების ხარისხი. სუსტი საიჯარო ბაზრები, არასწორად განაწილებული საცხოვრებელი ფართები და არარსებული ან ცუდად განხორციელებული ქალაქის დაგეგმარების რეგულაციები ის პრობლემებია, რომლებიც ქალაქს არაეფექტურს და არასასურველს ხდის მაცხოვრებლებისთვის. ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციების გათანამედროვეებაზე, საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწვეტაზე და სტრატეგიული საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნაზეა მიმართული, ამ პრობლემების თავიდან აცილებაში ხელის შეწყობა შეუძლია.

საქართველომ ამის განხორციელება, მაგალითად, მისი ურბანული მიწების განაშენიანების გეგმის გამოყენებით შეძლო. ამჟამად საქართველოში არსებული რეგულაციები „ერთი ფანჯრის“ მექანიზმს ითვალისწინებს, რომლის ფარგლებშიც დოკუმენტების წარდგენა მხოლოდ ერთხელ არის საჭირო და თუ განმცხადებელი ოფიციალური ორგანოებისგან გარკვეული პერიოდის შემდეგ არავითარ შენიშვნას არ იღებს მას შეუძლია ჩათვალოს რომ მისი განცხადება დაკმაყოფილებულია.

### **ერთმანეთთან დაკავშირება უმნიშვნელოვანესია ქალაქებისთვის**

მაგალითად ავიღოთ საქართველოს ახალი საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც შავი ზღვის პორტებისკენ შენდება ან ახალი რკინიგზა, რომელიც თურქეთის მიმართულებით შენდება. ამგვარი მასიური პროექტები არ იქნებოდა მნიშვნელოვანი, თუ მეზობელი ქვეყნები არ დაინახავდნენ თანამშრომლობისგან მიღებულ კოლექტიურ ეკონომიკურ სარგებელს და არ შეამსუბუქებდნენ თავიანთ სასაზღვრო რეგულაციებს.

ქვეყნის შიგნითაც კი ქალაქების ერთმანეთთან კარგად დაკავშირებას ამ ქალაქების გამოცოცხლება შეუძლიათ. მაგალითად ავიღოთ ყაზახეთის ქალაქი ყარაგანდა. ახალი ორხაზიანი მაგისტრალის მეშვეობით ყარაგანდიდან ქვეყნის დედაქალაქ ასტანამდე მგზავრობა ორჯერ ნაკლებ დროს მოითხოვს, რის შედეგადაც ქალაქის შემცირებული მოსახლეობის ზრდა დაიწყო, რაც უფრო მაღალი ხელფასის მიღების და ქალაქში ახალი დასასვენებელი ცენტრების აშენების პერსპექტივის დამსახურებაა.

ასე რომ, უკეთეს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას, რაც საზღვრების უკეთესად მართვით და ნაკლებად მკაცრი საერთაშორისო სავაიციო პოლიტიკის დანერგვით, საჭირო ტრანსპორტის ბაზრებზე კონკურენციის ხელშეწყობით და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერით უნდა მოხდეს, დიდი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია.

### **ქალაქების გამწვანება ქალაქების ზრდისთვის**

მართალია საბჭოთა პერიოდში საჯარო ტრანსპორტის გამოყენება და გადამამუშავებელი საწარმოები მხარდაჭერილი იყო, მაგრამ ამავე დროს საბჭოთა კავშირის დროს ბუნების ინდუსტრიული ნარჩენებით დიდი რაოდენობით დაბინძურება და ენერჯის უყარათოდ გამოყენება ხდებოდა. ბოლო პერიოდში, იმის მიუხედავად, რომ მეტი ყურადღება ექცევა ენერჯის ეფექტურად გამოყენებას და დაბინძურების შემცირებას, ქალაქებში კვლავ პრობლემას წარმოადგენს მანქანების სიმრავლე და გადამამუშავებელი სისტემების გაუმართაობა. საჭიროა ამ

პრობლემების მოგვარება, რათა ქალაქები ეკოლოგიურად უფრო სუფთა გახდნენ, რაც ქალაქებში ახალგაზრდა ურბანულ მოსახლეობას მიიზიდავს, რომლებიც მომავალში ეკონომიკის განვითარებაში მთავარ როლს შეასრულებენ.

რუსეთის ქალაქ ყაზანში სწორედ მსგავსი რამ განხორციელდა. ახალი ავტობუსების და ჩქაროსნული ტრამვაების მეშვეობით ეს ქალაქი ეკოლოგიურად სუფთა საჯარო ტრანსპორტის განვითარებას უწყობს ხელს და „მწვანე“ ინიციატივებზე აკეთებს აქცენტებს, რაც ამ ქალაქში ცხოვრებას სამუშაო ძალის ახალი ტალღისთვის უფრო მიმზიდველს ხდის.

### **დაფინანსების მოდელის მოქნილობა**

რეგიონი სუბნაციონალური დაფინანსების მოდელისკენ მოძრაობს, რომელიც შემოსავლების გაზიარების და ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონების ბიუჯეტებში თანხების გადარიცხვის გამჭირვალე სისტემას გულისხმობს, თუმცა ამ მიმართულებით ზოგი ქვეყანა უფრო სწრაფად მოძრაობს ვიდრე სხვები. ურბანულ სერვისებზე მეტი თანხების გამოყოფა ადგილობრივი გადასახადების გაზრდით შეიძლება იქნას დაფინანსებული, ხოლო საცხოვრებელი ფართების მოვლასთან დაკავშირებული გადასახადებით და ასევე წყლის, გათბობის და საჯარო ტრანსპორტის გადასახადებით ქალაქისთვის საჭირო სხვა მიმართულებების დაფინანსება შეიძლება მოხდეს.

ავიღოთ მაგალითად ქალაქი უზგენი, რომელიც ყირგიზეთში მდებარეობს. დეტალურმა ანალიზმა და კარგად გააზრებულმა სარეკლამო კამპანიამ ამ ქალაქს ვაკანტური მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასზე თითქმის ხუთჯერ მეტად გაყიდვაში დაეხმარა. აღნიშნულ ნაკვეთებთან დაკავშირებით არსებობდა საკონტრაქტო გაურკვევლობა, რაც ინვესტორებისთვის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა, ამ გაურკვევლობების მოხსნამ და გამჭირვალე სატენდერო პროცესმა აღნიშნული ნაკვეთების ეფექტურად გაყიდვას შეუწყო ხელი. ამ პროცესის შედეგად ამჟამად ქალაქს მრავალფუნქციური შენობა გააჩნია, რომელშიც სუპერმარკეტი და სასტუმროა განთავსებული.

მართალია ამ პროცესის ერთ დღეში განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ პოლიტიკის გამტარებლებს უნდა ესმოდეთ რომ ისინი მთავარ როლს ასრულებენ ამ ქალაქების რესტრუქტურის პროცესში და არსებული ეკონომიკის ფარგლებში მათი აქტუალურობის გაზრდაში და წინსვლაში.